საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 770

30 08 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 39-ე მუხლის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 126[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 17 სექტემბრამდე გამოცხადდეს კონკურსი შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი, ადგილების რაოდენობა - 1;

ბ) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი, ადგილების რაოდენობა - 1;

2.ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები განისაზღვროს დანართი №1 - ის შესაბამისად;

3.ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები განისაზღვროს დანართი №2 - ის შესაბამისად;

4.ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:

ა) ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით.

ბ) www.hr.gov.ge - ს „ჩემი რეზიუმეს“ დამატებითი დოკუმენტაციის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი;

გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც, გარდა ამ ვაკანტური თანამდებობის მიმართ კანდიდატის მოტივაციისა, შეიცავს ინფორმაციას ამ მიმართულებით მისი სამომავლო ხედვის შესახებ.

5.ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა;

ბ) ზეპირი დავალება;

გ) გასაუბრება.

6.კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ზეპირი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე.

7.საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

8.საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

9.დაევალოს ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

10. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციოს სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

11. დაეველოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

დანართი №1

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები

1. **თანამდებობრივი სარგო** - 1700 ლარი;
2. **სამუშაოს ტიპი** - სრული განაკვეთი;
3. **გამოსაცდელი ვადა** - 3 თვე;
4. **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მართვის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სპეციფიკის ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;
გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - B2 დონეზე;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა.

5. **შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:**

ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობა და კოორდინირება:
ა.ა) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ცენტრში შემოსული სააკრედიტაციო განაცხადების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;
ა. ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების დაგეგმვა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება და სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;
ა. გ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა;
ა. დ) აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარების კოორდინირებაში მონაწილეობა;
ა.ე) აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ოქმების ხელმოწერისა და ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების ხელშეწყობა;
ა.ვ) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული კორესპონდენციის, მათ შორის, ცენტრში შემოსული საჩივრების შესწავლა, განხილვა და მათზე შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება;
ბ) აკრედიტაციის სტანდარტების და პროცედურების განვითარებაში მონაწილეობა;
გ) გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა და კოორდინაცია;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების პროცესში მონაწილეობა;
ე) აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, ტრენინგების, სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე მასალის მომზადებაში მონაწილეობა;
ვ) დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;
ზ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

6. **კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:**

ა) საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) დროის ეფექტური მართვა;

გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;

დ) ანალიტიკური აზროვნება;

ე) გუნდური მუშაობა.

7. **კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:**

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

დ),,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;

ე),,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ვ),,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

ზ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;

თ) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG);

ი) ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ზოგადი ცოდნა (ცენტრის ვებგვერდის - www.eqe.ge - ს ბმული - https://eqe.ge/geo/static/71/bologna-process).

დანართი №2

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები

1. **თანამდებობრივი სარგო** - 1700 ლარი;
2. **სამუშაოს ტიპი** - სრული განაკვეთი;
3. **გამოსაცდელი ვადა** - 3 თვე;
4. **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მართვის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სპეციფიკის ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;

გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - B2 დონეზე;

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა.

5. **შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:**

ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობა და კოორდინირება:

ა.ა) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ცენტრში შემოსული საავტორიზაციო განაცხადების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

ა.ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების დაგეგმვა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება და სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;

ა.გ) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა;

ა.დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარების კოორდინირებაში მონაწილეობა;

ა.ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების, ოქმების ხელმოწერისა და ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების ხელშეწყობა;

ა.ვ) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული კორესპონდენციის, მათ შორის, ცენტრში წარმოდგენილი საჩივრების შესწავლა, განხილვა და მათზე შესაბამისი პასუხების პროექტების მომზადება;

ბ) ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარებაში მონაწილეობა;

გ) გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა და კოორდინაცია;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების პროცესში მონაწილეობა;

ე) ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, ტრენინგების, სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე მასალის მომზადებაში მონაწილეობა;

ვ) დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;
ზ)ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

6. კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) საქმიანობის კოორდინაცია;
ბ) დროის ეფექტური მართვა;
გ) ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
დ) ანალიტიკური აზროვნება;
ე) გუნდური მუშაობა.

7. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
დ),,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;
ე),,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ვ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
ზ) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG).
თ) ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ზოგადი ცოდნა (ცენტრის ვებგვერდის -www.eqe.ge - ს ბმული - https://eqe.ge/geo/static/71/bologna-process).